საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
245
F76 N460
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 9 იანვარი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 2 (213). ფასი 30 კაპ.

ვაღვივოთ დაუცხრომელი სიძულვილი გაცოფებულ მტრისადმი

მთელს კაცობრიობას, ყოველ ადამიანს, ვისაც სინიდისი და პატიოსნები შერჩენია, გულის სიღრმემდე აღაშფოთებენ და შეაძრწუნებენ მხეცობის, ძალადობის, მასობრივი მკვლელობის, ნგრევის, ადამიანური ღირსების შეურაცყოფის ის უთვალავი ფაქტები, რომლებსაც სჩადიოდნენ და სჩადიან ფაშისტთა ურდოები დროებით დაპყრობილ ჩვენს შიწა-წყალზე და რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია ჩამოთვლილი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ უცხო სახელმწიფოებისადმი წარდგენილ ნოტაში.

მსოფლიოს ისტორიაში ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მტარვალ დამპყრობელს, რომელსაც ასეთი სისხლის მოყვარეობა, ნგრევის წყურვილი და ავხორცული სადისტობა გამოეჩინოს.

ყოველ დროის ატილები, ჩანგისყენები და ჯალალ-ედინები თავიანთი ურდოებით ჰუმანიურ და ლმობიერ ადამიანებად გამოიყურებიან ჰიტლერთან და მის ეგრეთწოდებულ ჯართან შედარებით.

ფაშისტმა ყაჩაღებმა მთლიანად და სავსებით გაანადგეს თავიანთ ბანდიტ ფიურერის უმსგავსო ცინიკური სიტყვები: „მე ვანთავისუფლებ ადამიანს დაბამცირებელი ქიმერისგან, რომელსაც სინიდისი ეწოდება. სინიდისი, ისევე, როგორც განათლება, ასახიჩრებს ადამიანს“. პირსისხლიან ფიურერს შეუძლიან იამაყოს იმით, რომ მას სწორეთ ასეთი არმია ჰყავს. მხოლოდ სინიდისის ყოველგვარ ნასახისაგან განთავისუფლებულ ორფეხა ნადირებს შეუძლიანთ ასე დასცინონ და ფეხით სთელონ საუკუნეებით განმტკიცებული საერთაშორისო სამართლის ნორმები და კონვენციები, რომლებიც ომიანობის დროს იცავენ მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს, უშიშროებას, ადამიანურ ღირსებას და პატიოსნებას. არა თუ ამ ნორმებს არ იცავენ, არ არსებობს დანაშაული და ბოროტმოქმედება, უმსგავსება და სიბილწე, რომელიც თავიანთ ხელობად, თავიანთ პროფესიად არ გაეხადოთ გერმანელ ყაჩაღებს. მათთვის უცხო და გაუგებარი აღმოჩნდა სიბრალულის გრძნობა ჩვილ ბავშვისა და დავრდომილი მოხუცისადმიც-კი.

საბჭოთა კავშირის ხალხების მრავალსაუკუნიან ისტორიას არ ახსოვს ესოდენი სახრჩობელები, რომლებიც გერმანელმა მტარვალებმა აღმართეს ჩვენი დაბა-სოფლების მოედნებსა და შარა-გზებზე და რომლებზედაც მათ მრავალი ათასი მშვიდობიანი მოქალაქე ჩამოკიდეს. ჩვენი დიდი სამშობლოს არც ერთი კუთხე არასოდეს არ მოსწრებია ისეთ კოცონებს, როგორიც გერმანელმა ჯალათებმა გააჩაღეს, რომლებზედაც დასწვეს მრავალი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები, ისინი არ მოსწრებიან არც დანაღმულ ორმოებს, სადაც გერმანელმა მტარვალებმა ცოცხლად ააფეთქეს არა ერთი და ორი ათასი მოქალაქე. ჩვენი ხალხების მატიანე არ იხსენიებს მტერს, რომელსაც ასეთი დაუნდობლობით ნაცარტუტად, ნამოსახლარ უდაბნოებად გადაექციოს აყვავებული დაბა-ქალაქები და სოფლები. კაცობრიობის ისტორიაში ვერ შევხვდებით მეომარ ხალხს, რომელსაც ჯარში ამდენი მარადიორი, ამდენი მკვლელი და ყაჩაღი, მოძალადე და ჯალათი ჰყოლოდეს. არც ერთი ქვეყნის სამხედრო ისტორიამ არ იცის ჯარი, რომელსაც თავისი სქესობრივი ავხორცობა მცირეწლოვანი გოგონების გახრწნით დაეკმაყოფილებინოს, ჯარი, რომელსაც წარმოუდგენელ სისასტიკესთან ერთად გამოეჩინოს ისეთი სულმდაბლობა და სიმხდალე, რომ მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეხვედრის დროს ფარად გამოეყენებინოს ბავშვები და ქალები, მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეტაკებისას თავის გადარჩენის მიზნით წინ მშვიდობიანი მოსახლეობა გაერეკოს.

ლექსიკონში არ არსებობს სიტყვა არც გერმანელი ბანდიტების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამოსახატად, არც იმ ტანჯვა-წამებისა და მწუხარების გადმოსაცემად, რომელიც ჰიტლერის ველურმა ბანდებმა ჩვენს მომძმე ერებს—უკრაინელებს, ბელორუსებს, ლიტველებს, ლატვიელებს, მოლდაველებს, რუსებსა და ებრაელებს მიაყენეს. ჩვენს მომძმეთა მიწა-წყალზე ტბებად სდგას სისხლი უდანაშაულო მოსახლეობისა და ზღვა-ცრემლი უსახლკარად დარჩენილ მცხოვრებლებისა. აყვავებული ქალაქები და სოფლები ნანგრევებად და ნაცრად გადააქციეს ამ ველურთა ურდოებმა. განუზომელია უბედურება და მწუხარება ყველგან, სადაც კი ფეხი შესდგეს ფაშისტმა გარეწრებმა.

მამაცი წითელი არმიის საარაკო გმირობამ გზა გადაუღობა გერმანელ ბარბაროსების წინსვლას კავკასიისაკენ და ამით ჩვენი მოსახლეობა ააცდინა ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დამცირების ჯოჯოხეთურ სიმინელეს. მაგრამ ეს ვერ მოაშუშებს იმ ჭრილობას, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა განიცდის, რადგან ტრაგედია ჩვენი მომძმე ხალხებისა, რომლებთანაც ჩვენ ვეწეოდით ალმშენებლობას და ვხარობდით საერთო შრომით მოპოებული ნაყოფით, არის ქართველი ხალხის ტრაგედიაც.

მწვავედ განიცდის მას ქართველი საბჭოთა მწერალი. გერმანელ ფაშისტთა ველურობისა და მხეცობის მოწმე ქართველი მწერალი დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოწოდებულია მხატვრული სიტყვით და ცოცხალი აგიტაციით მიიტანოს მშრომელი მასების გულამდე იმ დიდი უბედურების ამბავი, რომელიც ფაშისტმა მხეცებმა დაატეხეს თავს რევოლუციური ბრძოლით და შემოქმედებითი მუშაობით ჩვენთან სამუდამოდ დაკავშირებულ მოძმე ხალხებს.

ის განუზომელი მწუხარება, რომელსაც ჩვენს ხალხში იწვევს მოძმე რესპუბლიკებში გერმანელთა მიერ დატრიალებული ტრაგედია, ჩვენ, ქართველმა მწერლებმა, უნდა ვაქციოთ დაუცხრომელ წმინდა სიძულვილად ოკუპანტ დამპყრობელებისადმი. დაე, ეს წმინდა სიძულვილი ასაზრდოებდეს ჩვენს მტკიცე გადწყვეტილებას—ვიბრძოლოთ თავდაუზოგველად, ვიბრძოლოთ მანამდე, სანამ სამაგიეროს არ მიუზღავთ სისხლით დამთვრალ ჯალათს, სანამ საბოლოოდ არ მოვსპობთ და არ გავანადგურებთ ჩვენს წმინდა შიწა-წყალზე მოთარეშე ყველა გერმანელ ოკუპანტს გამოუკლებლივ.

ცოფიან ძაღლებს ძაღლური სიკვდილი! — აი ამ ლოზუნგით უნდა სუნთქავდეს საბჭოთა მწერლის ყოველი სიტყვა, ამ ლოზუნგით უნდა მიდიოდეს დღეს ხალხში საგიტაციოდ და ბრძოლის ველზე სამრად ქართველი საბჭოთა მწერალი.

ყველაფერი ფრონტისათვის

ირ. აბაშიძე

ერთად-ერთი წმინდათა-წმინდა მისწრაფება ასულდგმულებს დღეს საბჭოთა მწერალს, როგორც ყოველ საბჭოთა ადამიანს, მისწრაფება, რომელიც დღითი-დღე ნაღდდება და გმირული წითელი არმიის მრისხანე დარტყმის მეოხებით სინამდვილედ იქცევა, — მისწრაფება, მიმართული ჰიტლერიზმის საბოლოო და მთლიანი განადგურებისაკენ. „არც ერთი საბჭოთა ადამიანი არ დამშვიდდება მანამდე, სანამ თუნდაც ერთი ჰიტლერელი ჰქელავს წმინდა საბჭოთა მიწა-წყალს, სანამ ჰიტლერიზმს გახურებული შანთით არ ამოწვავთ“ (ამხანაგ კალინინის საახალწლო სიტყვიდან.). საბჭოთა მწერალი ამ დიადი მიზნისათვის თავდადებით იბრძვის იქ, სადაც მას სამშობლომ მოუწოდა—ფრონტზე თუ ზურგში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კოლექტივი ამაყობს და კვლავაც იამაყებს იმით, რომ მისი მოწინავე წევრები, მგზნებარე პატრიოტები, ნიჭიერი ქართველი მწერლები, დედა-სამშობლოსადმი არაერთხელ შეპირებისამებრ, კალმის ბაგიერ ხმალს ატრიალებენ დიდი სამამულო ომის მოწინავე პოზიციებზე. ჩვენი ამხანაგები, ქართული ლიტერატურული კრიტიკის თვალსაჩინო მუშაკები გიორგი ნატროშვილი და ალექსანდრე სულავა იმ დიდი ცეცხლის შუაგულში იბრძვიან, სადაც უშუალოდ იწრთობა და იქედება ჩვენი ქვეყნის გამარჯვება გერმანიის პირსისხლიან ბარბაროსებზე. ისინი წავიდნენ ფრონტზე, როგორც მწყობრის მებრძოლი მეთაურები, როგორც მომქმედი არმიის სახელოვანი ჯარისკაცები.

წითელი არმიის რიგებში იმყოფებიან აგრეთვე ჩვენი საბჭოთა მწერლები: დემნა შენგელაია, შალვა რადიანი, ალ. გომიაშვილი, კ. ბობოხიძე; ახალგაზრდა მწერლები: მირზა გელოვანი, შ. ამისულაშვილი, კ. ხიმშიაშვილი, ან. სიჭინავა, ი. ჩხაიძე და სხვები.

ქართველი საბჭოთა მწერლები დღეს სამხედრო იარაღითაც უმტკიცებენ დედა-სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას. დიდი სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე ჩვენი მწერლები, ბუნებრივია, გაათკეცებული ენერგიით მუშაობენ როგორც კალმით, ისე პრაქტიკული საზოგადოებრივი საქმიანობით. მათ პირველ დღეებშივე იგრძნეს საბჭოთა მწერლის წმინდათა-წმინდა მოვალეობა, რომ სამამულო ომის დღეებში, ისე როგორც არასოდეს, სჭირდება ქვეყანას შემოქმედის სიტყვა, მისი თავდადებული მუშაობა, მისი მახვილად გამიზნული სტრიქონები, მისი სიტყვიერი გამოსვლა ხალხში, სამამულო ომის ფრონტზე და ზურგში. ჩვენმა მწერალთა კოლექტივმა, ჩვენმა მწერალთა კავშირმა მყისვე გარდაქმნა მუშაობა დიდი ბელადისა და მთავარსარდლის მოწოდების საფუძველზე—„ყველაფერი ფრონტისთვის“.

სამამულო ომის დღეებში საბჭოთა მწერალმა თავის ძირითად და ერთადერთ ამოცანად დაისახა: უჩვენოს მკითხველს გერმანიის გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა მხატვრული პორტრეტები, მათი საგმირო საქმეები, სამამულო ომის დღეთა მრისხანე დაუვიწყარი ეპიზოდები, ჩვენი ხალხის—ჩვენი ფრონტისა და ზურგის—მტკიცე ერთიანობა, ალაფრთოვანოს მკითხველი ისტორიულ გმირთა რაინდული წარსულით, მხატვრულად გადმოსცეს საბჭოთა ხალხების რისხვა გათავხედებულ მტრისადმი, უმღეროს დიდი ბელადისა და სარდლის სამხედრო გენიას სამოქალაქო ომებსა და დიად სამამულო ომში.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ომის ექვსი თვის განმავლობაში შეიქმნა არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოები, რომლებიც თვალსაჩინო ადგილს დაიჭერენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში. სტალინის პრემიის ლაურეატ ბელეტრისტის ლეონიაჩელის ნოველა „მამა და შვილი“ ამათ შორის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოებია. ლეონ ქიაჩელი, ბელეტრისტული სიუჟეტის ეს გამოცდილი ოსტატი, ამ მოთხრობაში სამამულო ომის გმირის, ახალგაზრდა ქართველი ლეიტენანტის სურათს გვიხატავს. მოხერხებული სიუჟეტური ნახტომით იგი მოხაზავს სრულფეროვან სურათს ლეიტენანტის აღმზრდელი მამისას, რომელიც 1905 წლის გამოჩენილი რაზმელია და ამით აღწევს მიზანს — დიდი სამამულო ომის გმირები არწევების ბუდეებში დაიზარდნენ. ომში გასტუმრების წინ მამა ასეთ დარიგებას აძლევს შვილს: „ეს იცოდე, ჯეგე, როცა მტერი სიკვდილით ემუქრება, ერთად-ერთი გზა არსებობს ხსნისა: „უნდა აჯობო, არ დაჭყარო იარაღი, სანამ მტერს არ გასტეხ და არ დაიმორჩილებ. ომში ვაქციური ნებისყოფა იმარჯვებს... ჩემი „გული ჩაიდგი შვილო და თუ გაგიჭირდეს, მომიგონე მეთქი“. გმირ მამათა გულები სძგერს ჩვენს სახელოვანი მებრძოლების მკერდში. გმირი არტილერისტების, მფრინავების, მეზღვაურების, ქვეითი მებრძოლების, ტანკისტების მკერდში ჩვენი დიდი მამის, ბელადისა და მთავარსარდლის დიადი გული სძგერს, მას უშიშრად მიჰყავს ისინი. გერმანიის ტერიტორიიდან შემოჭრილ მხეცებზე ძლევამოსილ გამარჯვებისაკენ.

საყურადღებო მოთხრობები დასწერეს გასულ წელს სამამულო ომის თემაზე ბელეტრისტებმა: შ. დადიანმა, დ. შენგელაიამ, ს. კლდიაშვილმა, ალ. ქუთათელმა, ალ. ჭეიშვილმა, აკ. [illegible], ბ. ჩხეიძემ და სხვებმა.

სამამულო ომის დღეებში ომის ყაიდაზე გარდაქმნას მოითხოვს ლიტერატურული კრიტიკის მუშაკთა საქმიანობაც, მათი შემოქმედებაც. ჩვენ გვინდა ქართველ საბჭოთა კრიტიკოსებს მივუთითოთ ამხანაგების გერონტი ქიქოძის, ბ. ყენტის და ივ. წულუკიძის მუშაობაზე. დასახელებული ამხანაგები ხშირად გვევლინებოდნენ გასულ წელს ჩვენი პრესის ფურცლებზე ბასრი პოლიტიკური სტატიებით დროული ფელეტონებით, და თანაც მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდნენ ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში, სახლდრო ნაწილებში, კოლმეურნეობებში, თბილისსა და რაიონებში თავიანთ სიტყვიერი გამოსვლებით, მოხსენებებით სამამულო ომის საკითხებზე. სამწუხაროდ, ყველა ჩვენს კრიტიკოსს როდი შეუძლია იყოს ქმაყოფილი თავისი მუშაობით 1941 წელში.

არასოდეს ისე ნაყოფიერნი არ ყოფილან ჩვენი პოეტები, როგორც გასულ წელს, სამამულო ომის დღეებში. საბჭოთა ხალხისა და მისი სახელოვანი წითელი არმიის გმირულმა ბრძოლებმა გერმანიის პირსისხლიანი დამპყრობელების წინააღმდეგ შთააგონეს ჩვენს პოეტებს მრავალი მღელვარე ლექსი, რომელნიც ისმიან, როგორც ლაშქრული სიმღერები. გ. ლეონიძემ, ალ. აბაშელმა, ალ. მაშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა კვლავ გამოსთქვეს მგზნებარე სტრიქონებით ჩვენი ხალხის მტკიცე ერთიანობა დიდი სარდლისა და ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

„ვით ერთი კაცი, ჩვენ მასთანა ვართ,
ყველა ძმობილი...
ყველა დობილი...
ჩვენ მისთვის გვიცემს გული თინაბარ,
მის სიმტკიცეზე ვართ დანდობილი“.
(გ. ლეონიძე).

საბჭოთა ხალხზე, მისი წითელი არმიის გმირებზე, სამამულო ომის დაუვიწყარ ეპიზოდებზე ქმნიან თავიანთ ლექსებს გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, რ. გვეტაძე, კ. კალანძე, ს. ეული, შ. აფხაიძე, გ. კაჭახიძე, გ. ქუჩიშვილი, ხ. ვარდომვილი, ვ. გაბესკირია, შ. პატარიძე, დ. გაჩეჩილაძე და სხვები.

ჩვენს თეატრებში გასულ წელს თითქმის არაფერი გვინახავს სამამულო ომის თემატიკიდან. ექვსი თვე საკმაო დრო იყო იმისათვის, რომ საბჭოთა დრამატურგებს შეექმნათ თეატრებისთვის საჭირო რეპერტუარი. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დრამატურგები მუშაობენ ამ თემატიკაზე, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია წელს ერთხელ კიდევ გავახსენოთ მათ, რომ საჭიროა სისწრაფე და ტემპები. საბჭოთა დრამატურგია არის სამამულო ომის არა მარტო ამსახველი, არამედ მისი მებრძოლი მონაწილეც: როგორც ყველაფერი, იგიც ფრონტს ემსახურება. ჩვენთვის ძვირფასია მისი საბრძოლო თვისებები.

შედარებით ნაყოფიერად და სწრაფად მუშაობდნენ ქართველი მწერლები საბჭოთა ეკრანისათვის, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ის, რაც გასულ წელს ქართულ საბჭოთა ეკრანზე ვნახეთ სამამულო ომის თემატიკიდან, თავისი სქემატიურობისა და მოქმედებრივი და ფსიქოლოგიური დაუზუსტებლობის გამო მაყურებლის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამ წლის პირველ თვეებში საქართველოს კინო-ფაბრიკა უთუოდ მოგვცემს სრულფასოვან კინო-სურათებს სამამულო ომის მრისხანე დღეებზე. მას უკვე გააჩნია კარგი სცენარები, მათ შორის, კ. ლორთქიფანიძისა და ი. მოსაშვილის ნაწარმოები.

1942 წელი ქართველი საბჭოთა მწერლისათვის შემოქმედებითი ენერგიის უფრო მეტად დაძაბვის წელია. ჩვენს წინაშე დგანან იგივე ამოცანები, იგივე დიადი თემები, მაგრამ ეს ამოცანები მოითხოვენ მეტს მუშაობას; მეტს მხატვრულ გამოკვეთას, მკითხველი ჩვენგან მოითხოვს რიცხვით მეტს და ხარისხით მაღალ ნაწარმოებს. ჩვენ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უნდა გამოვცეთ დიდი წიგნი, სქელტანიანი კრებული სამამულო ომზე.

მწერალთა კავშირმა უფრო მეტად უნდა გაშალოს თავისი მუშაობა. უსათუოდ ეფექტიური იყო მწერალთა ბრიგადების არაერთი გამოსვლა რაიონებსა და სამხედრო ნაწილებში. მიმდინარე წელს ჩვენ უფრო მეტად უნდა დავაკავშიროთ მწერლები მასასთან.

ქართველმა მწერლებმა, მისმა აქტივმა, გასულ წელს ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მიმდინარე წელს ეს მუშაობა უსათუოდ გაათკეცდება. ამის თავდებია ის დიდი ალტყინება და ერთსულოვნება, ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც გრძნობენ ჩვენი მწერლები ფაშიზმის გასანადგურებლად ამდგარ დედა-სამშობლოს წინაშე, ის სერიოზული მუშაობა, რომელსაც ჩვენი მწერლების აქტივი აწარმოებს სამამულო ომის მრისხანე დღეების ასახვისათვის.

შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა მწერალი უნდა წარსდგეს გამარჯვებული სამშობლოს წინაშე ანგარიშით იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მან სამამულო ომის დღეებში, როგორ ემსახურა იგი სამამულო ომის დიდ ფრონტს.



ჩრდილო დასავლეთის მიმართულებაზე № ნაწილის მებრძოლები ტყვიამფრქვევიდან ცეცხლს უშენენ მტრის პოზიციებს.

ხალხის ფოტოქრონიკა

ჰიტლერული ახალგაზრდობა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის 7 იანვარს გამოქვეყნებულ ნოტაში ჩამოთვლილია უეჭველი ფაქტი საყოველთაო ძარცვა-გლეჯისა, მოსახლეობის დარბევისა და ფასაოცარი მხეცობისა, რომელსაც გერმანული ჯარის ნაწილები სჩადიოდნენ და სჩადიან დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე. ამ საარაკო და გაუგონარი ველურობის ჩასადენად ჰიტლერმა წინასწარ მეთოდიურად მოამზადა და გაწრთვნა ახალგაზრდობის მთელი თაობა.

ყოფილი ფაშისტი რაუშნინგი ამყარად უკვე საკმაოდ გახმაურებულ თავის წიგნში „საუბრები ჰიტლერთან“ გადმოგვცემს:

„ერთხელ ჰიტლერმა მითხრა: ჩემი ორდენის ციხე-სიმაგრეებში აღიზრდება ახალგაზრდობა, რომლის წინაშეც ცახცახს დაიწყებს მთელი ქვეყნიერება, მე მინდა აღვზარდო უხეში, სისხლის-მოყვარე და უსასტიკესი ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა სწორედ ასეთი უნდა იყოს. მე მინდა, რომ ყმაწვილკაცობა დაემგვანოს ახალგაზრდა მტაცებელ ნადირს“.

სისხლიანი ობერ ჯალათის ჰიტლერის მიერ დასახულ ამ მიზნის მისალწევად ფაშისტური პარტია მიმართავდა ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას. თვით ჰიტლერის ხელიგნური მოქმედებანი ახალგაზრდობის ყამს, მისი უუნარობა სწავლაში, მისი ავანტიურიზმი ფაშისტმა პედაგოგებმა გამოაცხადეს ნიმუშად, საუკეთესო მაგალითად, რომელზედაც უნდა იზრდებოდეს ახალგაზრდობა.

ფიურერს განსაკუთრებული ჯარისკაცები და მოიერიშეები სჭირდებოდა, ისინი ნამდვილი მტაცებელი მხეცები უნდა ყოფილიყვნენ, და როგორც მტაცებელ ნადირში გააფთრებას იწვევენ სისხლით, ისე ფაშისტმა მეთაურებმა ახალგაზრდობა თავის სამარცხვინო როლს სისხლით შეაჩვიეს.

თვით ფიზკულტურულ ვარჯიშობას გერმანიის ჰიტლერული ახალგაზრდობისათვის უკვე დაკარგული აქვს თავისი დანიშნულება. მაგალითად, რბენა, კროსი გერმანული ქალაქების ქუჩებში ეწყობა მხოლოდ მაშინ, როცა განზრახულია ებრაელთა დარბევა „ფიზკულტურელები სტარტიდან თავქუდმოგლეჯილი გარბიან ფინიშამდე, ე. ი. ებრაელთა მაღაზიებისა და სახლების კვარტალამდე, სადაც მათი მისვლისთანავე იწყება მასობრივი რბევა და მკვლელობა. თავისუფალ ვარჯიშობაც აუცილებლად იმართება ნანჯლით და გრძელი ცულით ხელში, ამასთან ყველაფერი ისე ეწყობა, რომ მოსახერხებელი გახდეს ვინმე არა არიელის დაჭრა და დასახიჩრება.

ჰიტლერული ახალგაზრდობის საყვარელი და ძალზე გავრცელებული ვარჯიშობაა „არა არიელთა ფიტულების წამება“. „არიელები“ ველურის გაფთრებით, მხეცური ღრენითა და ღმუილით ვარჯიშობენ ასეთ ფიტულებზე. როგორდაც ერთხელ ასეთ ვარჯიშს დასწრებია თავათ ფიურერი. ერთი უცხოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ჰიტლერი ალტაცებაში მოიყვანა ამ ვარჯიშობამ, ივი თავდავიწყებით უკრავდა ტაშს მომავალი ბანდიტების მიერ მოხერხებულად შესრულებულ სადისტურ ნომრებს. იქვე ჰიტლერმა მითითება მისცა ფაშისტური ახალგაზრდობის ხელმძღვანელს მირახს, მოიგონეთ ამისა მსგავსი სხვა ახალი ვარჯიშობაც ჩემი ახალგაზრდებისათვისო.

ფაშისტურ პრესაში უხვად წააწყდებით მასალას იმის შესახებ, თუ რას სჩადიან ჰიტლერელებისაგან ალზრდილი და გაწრთვნილი ახალგაზრდა განგსტერები. გასულ წელს ფაშისტური ფაზენი „ნეიე ვოლკსიტუნგი“ შემდეგს იუწყებოდა 17–18 წლის ჰასაკის ყმაწვილებისგან შემდგარ ერთ ყაჩაღური ჯგუფის შესახებ, რომელიც ქალაქ ჰანოვერში მოქმედობდა. ერთ სასტუმროში ამ ჯგუფს თავისი კლუბი მოეწყო. ქალაქის რკინიგზის სადგურისა და მთავარი ქუჩების ბნელ ადგილებში ისინი სდარაჯობდნენ გამვლელ-გამომვლელთ. იმათ, ვინც ფულს ნებაყოფლობით არ იძლეოდა, დაუნდობლად ხოცავდნენ, ჰკლავდნენ იმათაც, ვინც თავის გადარჩენას გაქცევით მოინდომებდა. ხმლები, ხანჯლები, რკინის წვეტიანი ჯოხები, რკინაგადაკრული ფიცრები,—აი ასეთი იარაღით უსწორდებოდნენ ისინი თავიანთ მსხვერპლს.

გაზეთს არ დაუმალავს, რომ ახალგაზრდა ყაჩაღთა ეს ხროვა ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის წევრებისგან შესდგება, იმ ორგანიზაციის წევრებისგან, რომელშიაც „უნდა ირიცხებოდეს ყოველი ახალგაზრდა გერმანელი“. ასეთია ჰიტლერული ალზრდის ნაყოფი, სწორედ ასეთ ახალგაზრდებისგან იქმნებიან ის ურდოები, რომლებიც ესეთ გაუგონარ ბოროტებასა და დანაშაულს სჩადიან საბჭოთა ტერიტორიებზე. ჰიტლერს სურდა აღეზარდა ისეთი ახალგაზრდობა, რომლის წინაშეც ცახცახს დაიწყებდა მთელი ქვეყანა, მაგრამ ქვეყნიერებამ ცახცახი არ დაიწყო. პირიქით, მან გადასწყვიტა მოსპოს ეგი და სპობს ...

კიდეც

ბ. ბ.

თბილისის თეატრებში

თბილისის თეატრები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ იმ ვარაუდით, რომ ასახულ იქნას საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა გერმანელ ოკუპანტებთან, ჩვენი ხალხის განუსაზღვრელი სიყვარული დედა-სამშობლოსადმი, ფრონტისა და ზურგის ერთიანობა ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილ ბარბაროსების საბოლოო განადგურებისათვის.

თეატრები, თანამედროვე თემატიკაზე დაწერილ პიესებს გარდა, ამზადებენ ისეთ პიესებსაც, რომლებშიაც ასახულია ამა თუ იმ ხალხის გმირული ბრძოლა მათს ტერიტორიაზე შეჭრილ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

თეატრების სამუშაო გეგმებში ნახავთ პიესებს კლასიკური რეპერტუარიდანაც.

სათეატრო სეზონის მეორე ნახევარში განზრახულია დადგმულ იქნას:

რუსთაველის თეატრში—გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ“, სარდუს „ფლანდრია“ და გ. ერისთავის „დავა“.

მარჯანიშვილის თეატრში — ბ. გამრეკელის „რკინის ნაბიჯით“, გოგიაშვილისა და ქელბაქიანის „ბარონ ოსკარ ბრანდერი“, გოთუას „ერეკლე მეორე“, გოლდსმიტის „ერთი ღამის შეცდომები“.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში — უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, მარშაკის „ზღაპრები“ და სხვ.

შური ვიძიოთ

რევაზ მარგიანი

ეს გუშინ იყო: სოფელში ოხვრად
გაისმა ზარი საშინელების,
უკრაინელის გადამწვარ ქოხთან
ბნელში ყვინთავდნენ სახრჩობელები!

ეს თითქოს იყო სიზმრადანახული,
რომ ჩექმამ ვიღაც ვიგინდარასი —
ასე ჭაღარა ჩვენი წარსული
ფეხით გასთელა დიდი ტარასი!

ეს გუშინ ნახეს ბერიკაცები,
ხნიერნი, როგორც ჩვენი ჯამბული,
დალურჯებული, სახენაცემი
გუთნის უღელში ჰყავდათ გაბმული!

ეს ლვოვში ნახეს პარტიზანებმა
და მათ გულზეა ეს აღბეჭდილი,
რომ დედას შვილი განაწამები
ხიშტებით ჰყავდა მკერდს მიჭედილი!

ეს პსკოვში ნახეს გოგონა ერთი,
ჩალამებული ჰქონდა თვალები,
თრთოდა მტირალი დედისმედი,
მკერდდასერილი და ნაწამები!

ეს სოფლად ნახეს ბორკილგაყრილნი,
თავისუფლების საქმის ჩამდენნი,
წინ მიდიოდნენ თავებდახრილნი
და გზაში ხვრეტდნენ არამზადები.

ეს დედის თვალწინ ყაციის
მკვლელებმა
ცეცხლში ჩააგდეს ბავშვი მტირალი,
მშვიდად უცქერდნენ საშინელებას
არამზადები და ნაძირალნი.

ეს ბავშვს ესროლეს, მჯდარს
ფანჯარაში,
სისხლით შეღებეს სახლის კედელი—
და დაკავებულ დაბა-ქალაქში
არავინ დარჩათ დაუხვრეტელი.

O

მათ ტყვია უნდათ, ამხანაგებო!
პირისპირ ვდგევართ ჩვენ და ისინი,
დავარტყათ მაგრა და საგანგებოდ,
რომ ჩავკლათ მათი გველის სისინი.

მკვლელებს პასუხი უთხრათ
ყუმბარით:
ყაციმკვლელებო, მისთვის მოხვედით,
რომ მხარე ჩვენი თავისუფალი
გახადოთ ბნელი და ჯოჯოხეთი?

არ ეღირსებათ ვიყოთ მონები!
შენ ფეხზე დგეხარ, ხალხო ძლიერო,
სტალინის რკინის ლეგიონებმა,
გმირულად დაჭკრეს სამაგიეროდ.

კაჭარა პარჭიზანი

ალექსანდრე საჯაია

პატარა ლანდი ოღრანში დადის,
ხევ-ხევ ბილიკებს ჩაირბენს მარდად.
მან დაივიწყა ყოველი ფიქრი,
სტალინისა და სამშობლოს გარდა.
რა ფოლადები გამოიჭედა,
რამდენი ვეფხვი გამოიზარდა!..

პატარა ბავშვო, ნუთუ შენია,
ეს ძარღვიანი ხელის ჭტევანი,
თვალებში ცეცხლი გასაოცარი,
სისხლი სხეულში დაუტევარი,
ტანზე ფარაჯა პაპისეული,
ბერდანა თოფი და სატევარი?!

ბავშვო, განა ეგ შენი გულია,
ასე ბძიმე და ასე მაგარი?
როგორ გაფრინდა შენი ყუმბარა,
ცაში კაშკაშა ელვის მაგვარი!
როგორ აქუხდნენ ბნელი ხევები
შენი ხელების ნაამაგარით!

გუშინ შენ ტკბილად დედას ეკეროდი,
იქნება ტკბილი სიზმარიც ნახე,
იქნებ იხილე გაბრწყინებული,
შუქით მოსილი სტალინის სახე.
დღეს რას ჩურჩულებ, პატარა
გმირო,
რას ეფიცები ბელადის სახელს?

გუშინ შენ ჩვილი გაზრდას
ნატრობდი,
აჰა ასრულდა სურვილი შენი:
მხრებზე დაგშვენდა ტყავის ფარაჯა
და მეომარის ქამარი გშვენის.
ცაში მიფრინავს შენი ყიჟინა,
მტერს შეაძრთოლებს თვალები შენი.

ვაშა, შრიალებს თოვლი და ქარი:
ჩვენს დიდ ქვეყანას მზე და დიდება!
არ დაბინდდება ჩვენი ველები,
ჩვენი ყანებიც აბიბინდება...
ქალაქში კვამლი და ჩვენს ჭალაში
ისევ ურმული ალიღინდება.

„გამარჯვების სიმღერები“

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ ბგიტატორის დასახმარებლად გამოსცა წიგნების მთელი სერია. მათ შორის მეათე წიგნად გამოვიდა ქართველი საბჭოთა მწერლების თავდაცვითი თემატიკაზე დაწერილი ლექსების თარგმანი.

წიგნს ანშლაგად წარწერილი აქვს: „ქართველი პოეტები საბჭოთა ხალხის უდიდესს სამამულო ომის დღეებში“. წიგნის სათაურია „გამარჯვების სიმღერები“.

წიგნში მოთავსებულია ირ. აბაშიძის ალ. აბაშელის, ლ. ასათიანის, შ. აფხაიძის, კ. ბობოხიძის, ვ. გაბესკირიას, ვ. გორგაძის, რ. გვეტაძის, ს. ისიანის, ს. ეულის, ს. თავაძის, კ. კალაძის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის, ი. მოსაშვილის, ი. ნონეშვილის, მ. პატარიძის, ა. საჯაიას, გ. ქუჩიშვილის, ა. შენგელიას, ს. ჩიქოვანის და ვ. ჟურულის ლექსები.

კრებულში მოთავსებული ლექსები თარგმნილია ბორის სერებრიაკოვის მიერ. წიგნი შეიცავს 66 გვერდს და ღირს 2 მანეთად.

მეომრის უბის წიგნაკიდან*)

ი. დუგინსკი

1. კბილის ექიმი

უნდა ვალიარო: ფეოდორ ტიმოფეევიჩ რომანოვს ხშირად დასცინოდნენ.

ქერა ცისფერთვალებიანი ზორბა კაცი გაიტანჯა უსაქმურობით. ყველას თავი მოაბეზრა თავისი მონადირეობის ნახევრად ზღაპრული ამბებით. ან კი რა უნდა გაეკეთებინა კბილის ექიმს მოწინავე ხაზზე?

როგორღაც ბედმა გაუღიმა: გზაბანეულმა ტყვიამ ყბა ჩაულეწა მესამე ასეულის ძაღლს პოლკანს. ცხადია, ფეოდორ ტიმოფეევიჩს მოქმედების ფართო ასპარეზი გადაეშალა. მანაც არ დააყოვნა: რეზინის საუცხოო ყბა ჩაუსვა ძაღლს და პოლკანმაც ისე სწრაფად შეიგუა მედიცინის ეს წყალობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს უცნობ მიმართულებით მოკურცხლა და სამუდამოდ მიიმალა.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ დროს, რომ ფეოდორ ტიმოფეევიჩს გადაჭრით გამოუცხადეს — გადაბარგებულიყო ზურგში და დამკვიდრებულიყო ჰოსპიტალში. იგი უარზე იდგა, მაგრამ სარდლობა სრულიადაც არა ფიქრობდა დათმობაზე წასვლას. ძნელი გამოსაცნობია, რით გათავდებოდა ეს დავა, რომ ცხარე ბრძოლა არ გაჩაღებულიყო.

მესამე ასეული საიერიშოდ გაემართა, და ასეულის მეთაურის გვერდით ყველამ თვალი მოჰკრა ფეოდორ ტიმოფეევიჩის ზორბა ფიგურას. ირგვლივ ნამები სკდებოდნენ, სეტყვასავით მოდიოდა ტყვია, ჩვენი კბილის ექიმი კი თავქუდმოგლეჯილი დაეძებდა ლაჩრილებს, იქვე უხვევდა მათ ჭრილობებს, აბარებდა სანიტარებს და თავათ კვლავ გარბოდა წინ.

ფაშისტებმა ნამდვილი ჯოჯოხეთი დაანთეს. ატყდა გადამღობი სროლა. ასეულის წინ ცეცხლის ნამდვილი სვეტი აიმართა. მოჰკლეს მეთაური, წყობიდან გამოვიდა პოლიტხელი. შედრკენ რიგები, რამდენიმე კაცმა უკან დაიხია. ამ დროს გაიმართა წელში კბილის ექიმი ფეოდორ ტიმოფეევიჩი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დასჭყივლა:

— არავინ გაბედოს ფეხის უკან გადადგმა! მომყევით მე! შური ვიძიოთ მეთაურისათვის!

და ასეული ეკვეთა მტერს და გადათელა იგი.

ფაშისტებს ახალი ძალები მიაშველეს. შეეცადნენ დაკარგული პოზიციის დაბრუნებას. ფეოდორ ტიმოფეევიჩმა კვლავ შესძახა:

— წინ სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

*) დაწერილია სპეციალურად ჩვენი გაზეთისათვის.

და პირველი თავათ გადახტა: ისროდა ხელყუმბარებს, მუსრს ავლებდა მტერს ავტომატით.

მოკლედ: ოთხჯერ წაუძღვა იგი იმ დღეს ასეულს იერიშზე. სამ ადგილას დიჭრა და მაინც ხმა-კრინტი არ დაუძრავს...

ახლა, რაღა თქმა უნდა, ეჭვი აღარავის ეპარება, რომ რომანოვის ადგილი ცეცხლის პირველ ხაზზეა. და თუმცა პროფესიით ფეოდორ ტიმოფეევიჩი კბილის ექიმია, ბუნებამ იგი ნამდვილ მეთაურად გააჩინა.

2. სიკვდილზე ძლიერი

ამხანაგ ფლანგშტურმანად კაბინაში ხანშიშესული უკრაინელი გლეხი იჯდა. იგი ღამე გამოგზავნეს ჩვენთან პარტიზანებმა ამბის გადმოსაცემად, რისთვისაც მან დიდის წვალებით მდინარე გადმოლახა. მისმა მეგობარმა პარტიზანებმა მსუქან ნადირს მიაგნეს — გაიგეს, სად იმალებოდა მტრის შტაბი.

შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა: გარიჟრაჟზე ათიოდე ბომბდამშენი პარტიზანი გლეხის მიერ ნაჩვენები გზით გაემართა. დანიშნულ ადგილას ჩვენმა შეავარდნებმა მოხერხებულად დაჭქროლეს მიზანს და ერთი მეორეზე დააყარეს მას ბომბები. და მწვანე ჩრდილოვანი ბაღის სიღრმეში, იქ, საიდანაც მანამდე კოხტა სახლი გამოიყურებოდა და სადაც ფაშისტთა შტაბ-ბინა იყო მოთავსებული, უზარმაზარი კოცონი აგუგუნდა. ორიოდე წუთის შემდეგ ყველაფერი გაცამტვერდა.

ამასობაში შტურმანის ყურადღება უკვე სხვა რამემ მიიქცია: სოფლის განაპირას, ერთ ქოხთან, მრავალი ავტო-მანქანა იერეოდა: ზოგი მოდიოდა, ზოგი მიდიოდა. ნეტა რა უნდა იყოს: იქნებ ბენზინის საცავია ან იქნებ სხვა რამეა, ასეთივე მნიშვნელოვანი?

რამდენიმე ყუმბარა დაუშვეს, და იმავე წუთს აფეთქებამ მთლად შეაზანზარა იქაურობა. აფეთქებასთან ერთად ჰაერში რამდენიმე თვითმფრინავი ავარდა, და ნამტვრევებად ქცეული, მიწას მოეფინა. გამართლდა შტურმანის გუმანი...

გამხეცებულმა გერმანელებმა არ დააყოვნეს ზენიტებისა და ტყვიამფრქვევების ამოქმედება. განსაკუთრებული ყურადღება მათ ცენტრში მიმავალ ლეიტენანტ ჩერნოვის მანქანას მიაქციეს. მალე ამ მანქანის მარჯვენა სიბრტყეზე დიდი ნახვრეტი გამოჩნდა. მეორე ყუმბარამ შასი მოაგდებინა. მესამე ყუმბარა მოტორში მოხვდა და ბენზინის ბაკი გახვრიტა. ლეიტენანტმა ჩერნოვმა სისწრაფეს უმატა— იქნებ სამშვიდობოს გავახწიო. მაგრამ ცდა ამაო გამოდგა: თვითმფრინავს გული გაუჩერდა, და მეგობრების თვალწინ ჩერნოვის მანქანა მიწისკენ დაექანა და გერმანელების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაეშვა.

დაზიანებულ თვითმფრინავს მახლობელ მაღლობიდან სამი გერმანული ტანკი გაფაცაცებით ადევნებდა თვალყურს. თვითმფრინავის დაშვებისასვე ისინი სწრაფად გაეშურნენ მისკენ.

მეორე მხრიდან რუმინელებმა თავიანთი საბარგო მანქანა გააქანეს დაშვებულ თვითმფრინავისკენ.

შტურმანმა უშველა მფრინავს ნამსხვრევებიდან გამოსვლა.

— ვიბრძოლოთ, სანამ ძალა შეგვწევს,—უთხრა მან მფრინავს და ყუმბარა გაუწოდა, მეორე ყუმბარა-კი თავისთვის შეინახა.

სწორედ ამ დროს ჰაერში საბჭოთა ბომბდამშენნი გამოჩნდნენ. მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს საზენიტო ზარბაზნების გააფთრებულ სროლას, წრე შეჰკრეს და ალყაშემორტყმულ ამხანაგების დასაცავად მოემზადნენ.

ამასობაში რუმინელების ავტომანქანა გაუბედავად შუაგზაზე გაჩერდა. სამაგიეროდ გერმანელთა ტანკები გაწაგრძობდნენ გზას. ის იყო მოუახლოვდნენ კიდეც ისინი, რომ ამ დროს მიწაზე დაეშვა ლეიტენანტ ბოჩკოვის თვითმფრინავი. ბოჩკოვმა სწრაფად გაუსწრო გერმანელების ტანკებს და თვითმფრინავი თავისი მეგობრების ბვერდით გააჩერა.

მან დაუყვირა მფრინავს:

— ვასია, მეგობარო, აბა, ჩქარა, მოდი, ჩაჯექ!

— არ შემიძლიან, შტურმანს ვერ მივატოვებ.

მაგრამ იმავე წუთს მარცხენა მხარეს მიწაზე დაეშვა ვასილიევის თვითმფრინავიც შტურმან ზარნინისთვის.

ყველანი ერთად უვნებლად დაბრუნდნენ აეროდრომზე.

მეგობრობა ასეთი უნდა,—სიკვდილზე ძლიერია იგი.

სამხრეთის ფრონტი.

„სისხლი სისხლის წილ“

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ლიტერატურული კრებული „სისხლი სისხლის წილ“, რომელშიაც დაბეჭდილია აჭარის საბჭოთა მწერლების ნაწერები, მიძღვნილი სამამულო ომისადმი.

კრებულში მოთავსებულია პარმენ ლორიას მოთხრობა, ნესტორ მალაზონიას, პარმენ რურუას, კაპიტონ რუსიძის, შალვა შუბლაძის, გრიგოლ გრიგორიანის, ნადიდე გვარიშვილის, გიორგი სალუქვაძისა და დომენტი გოგიტიძის ლექსები.

‚ბ. მ. შარბაბჩიანი

4 იანვარს ხანგრძლივი ავადყოფობის შემდეგ [illegible] ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი გრიგოლ (გიგო) მიხეილის-ძე შარბაბჩიანი. განსვენებული დაიბადა 1884 წ. თბილისში. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი შევიდა თბილისში არსებულ „ხელოვნების წამახალისებელ კავკასიის საზოგადოების“ სკოლაში, ხოლო 1906 წელს სწავლის განსაგრძობად წავიდა პარიზს, სადაც ჟიულენის აკადემიაში შევიდა.

1910 წელს მხატვარი შარბაბჩიანი სამშობლოში ბრუნდება, მუშაობს როგორც ფერწერასა და გრაფიკაში, ისე თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის დარგში. მის სურათებს ნახავდით თბილისში მოწყობილ ყველა გამოფენაზე.

მის ფუნჯს ეკუთვნის 400-მდე ნაწარმოები (ეტიუდი, ესკიზი, პანო) — „ძველი თბილისი“, „ქალო“, „ტბა რიცა“, „გაგრის ხეობა“, „ბათომი“, „ქობულეთი“, „წყალტუბო-პარკი“, „ბულონის ტყე“, „სენ-ჟლუ“ და სხვ. პეიზაჟურ ჟანრის გარდა ფლობდა მხატვარს ისტორიული ჟანრიც. კარგია მისი „ყეენობა“ (პანო), საიათ-ნოვა“, „სიმღერები“ და სხვ.

დიდი კულტურული მუშაობა ჩაატარა მხატვარმა არქეოლოგიის დარგშიაც—დაუზუსტა უთარიღო საეკვო ფრესკებისა და ქანდაკება-ბარელიეფების (სომხური) შესრულების თარიღი, შეაგროვა დაფანტული უცნობი მასალა ძეგლებზე (სომხეთში) და სხვ.

განსვენებული მუშაობდა აგრეთვე დრამატ. ლიტერატურულ დარგშიაც (პიესა საიათ-ნოვაზე „ხალხი ნოქარ“, წერილები ხელოვნებაზე).

ამ დარგებში ნაყოფიერი მუშაობისათვის 1936 წელს მას მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება.

ბ. გაგუნია

„პარიზის სისხლის ღვრა“

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან კასუს რომანი „პარიზის სისხლის ღვრა“.

რომანი თარგმნილია ირეოდიონ ქავჟარაძის მიერ.

ლიტერატურული წლის შედეგებისათვის

ბესო ჟღენტი

Звучал, как колокол, на башне вечевой
Во дни торжеств и бед народных!

ბ. ლერმონტოვი.

რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჰმუნვასა და სიხარულში.

ილია ჭავჭავაძე.

გაწვლილი 1941 წელი უდიდესი გამოცდის წელი იყო ჩვენი ლიტერატურისათვის მშობელი ქვეყნის ზეიმისა თუ განსაცდელის ისტორიულ დღეებში თავის ხალხთან მისი გაერთიანებისა, განუყრელი თანაზიარობის თვალსაზრისით.

1941 წლის თებერვალში საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის სახელოვანი ოცი წლისთავი აზეიმა. ეს იყო უდიდესი სახალხო დღესასწაული, რომლითაც ხანგრძლივი ტანჯვისა და მონობისაგან საბოლოოდ თავდაღწეულმა ქართველმა ხალხმა კანონიერი სიამაყის გრძნობით შეაჯამა თავისი სამეურნეო და კულტურული აღორძინების გზაზე მეხუთედი საუკუნის განმავლობაში მოპოებული უდიდესი წარმატება.

ქართული საბჭოთა მწერლობა ცხოვლად გამოეხმაურა ამ ისტორიულ თარიღს. შეიქმნა დიდი კოლექტიური წიგნი „საბჭოთა საქართველოს“. თანამედროვე ქართული მწერლობის მთელმა შემოქმედებითმა აქტივმა მიიღო მონაწილეობა ამ წიგნში.

თემატიკური მრავალფეროვნებისა და ეანრობრივი მრავალფეროვნების მიუხედავად, ამ წიგნის ყოველი სტრიქონი ერთის აზრით, ერთის გრძნობით არის აღბეჭდილი: ეს არის უსაზღვრო სიყვარული აღორძინებულ დედასამშობლოსადმი, განუზომელი მადლიერებისა და ერთგულების გრძნობა ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვების შემომქმედის — დიდი ხელმძღვანელის მიმართ, მზადყოფნა ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დაცვისათვის, საკუთარი სისხლის, საკუთარი სიცოცხლის საფასურით. წიგნის ეს მთავარი შთამგონებელი იდეა მკაფიოდ არის გამოთქმული გალაქტიონ ტაბიძის მიერ:

„თუ მრავალგზის დანგრეული
დღეს ძლიერი გახდა მხარე
და მოედო სოფელს, ქალაქს
განახლების ნიაღვარი,
თუ გრიგალი მშენებლობის
ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს, —
ეს მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიწოვებს
შენი დროშის ფრს დავიცავ“.

საიუბილეო თარიღისათვის, გარდა დასახელებული დიდი კოლექტიური წიგნისა, გამოიცა ლექსების რამდენიმე კრებული, რომლებიც არა მარტო ასახავენ ამ კრებულთა ავტორების მიერ გახელილ შემოქმედებითს გზას, არამედ ამავე დროს გვიჩვენებენ იმ იდეურ—თემატიურ და ოსტატობრივ დონეს, რომელსაც მიაღწია ქართულმა პოეზიამ საბჭოთა საქართველოს არსებობის მანძილზე. ამ მხრივ განვლილი წლის ქართული ლიტერატურული ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენათა რიცხვს უნდა მიეკუთვნონ კარლო კალაძის, ივაკლი აბაშიძის, შალვა აფხაიძის, დავით გაჩეჩილაძის პოეტურ ნაწარმოებთა წიგნები.

საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავის ისტორიულ თარიღისათვის დაიწერა ილო მოსაშვილის პომის „ბაზალეთის“ პირველი ნაწილი, რომელიც ეპიურ პოეტურ სახეებში გვიხატავს ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის; გამოქვეყნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანის „იმერეთის“ მეორე წიგნის პირველი ნაწილი „მორევი“, დაიბეჭდა რამდენიმე თავი დეფნა შენგელაიას ახალი რომანისა „შთაგონება“, გამოვიდა იაკინთე ლისაშვილის ისტორიულ-რევოლუციური რომანი „ეკეცხოველი“, სანდრო ეულის პომის „ეპოქის ავტორის“ პირველი წიგნი, ლადო ბალიაურის რომანი „შურისგება“.

საიუბილეო თარიღისათვის დაიდგა იონა ვაკელის ისტორიული დრამა „გიორგი საკაძე“, რომელიც უდავოდ ახალ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ქართველი ხალხის სახელოვანი წარსულის დრამატურგიული განსახიერების საქმეში. საიუბილეო დღეებში დაიდგა აგრეთვე სერგო კლდიაშვილის პიესა-პამფლეტი „უკანასკნელი რაინდი“.

ამ წერილის ფარგლებში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ დასახელებულ ნაწარმოებთა კრიტიკულ განხილვას. მათი ეს აღნუსხვაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ შემოქმედებითი აღმავლობით და ცხოველმყოფელობით გამოეხმაურა ჩვენი ლიტერატურა თავისი ხალხის ზეიმისა და სიხარულის თარიღს.

ქართველი საბჭოთა ხალხის ამ დიად დღესასწაულს ახალი ლექსების წიგნით შეეგება სიმონ ჩიქოვანი.

დამახასიათებელია, რომ სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსების ამ წიგნში ერთგვარი წინაგრძნობის, პოეტური წინადხილვის ასპექტში განსახიერებულია ის აზრი, რომ ჩვენი დიადი სამშობლო არ შეუდრკება არავითარ ქარიშხალს, იგი ძლევამოსილად დაუხვდება ყოველგვარ მოულოდნელობას, ყოველგვარ კატასტროფას და უკუაქცევს მას. ამგვარი რწმენით შთაგონებულ სურათს ხატავს პოეტი თბილისში მიწისძვრის შემთხვევის აღწერისას: მოულოდნელად, შემარყეველის ძალით შეაშფოთა დედა-ქალაქი მიწისძვრის მძლავრმა სტიქიონმა, „შემდეგ ქარიშხლად მოვარდა ოქვში, გადიშხეილა შფოთიან ღამით“,

„მაგრამ თბილისი წუთით არ შედრკა,
რა შეარყევდა ბელადის მხარეს,
ღამით შეირხა, დილით გაშენდა
და მზე დაადგა თბილისის კარებს.
რამ შეარყია საყრდენი მიწის,
თუ დაამართა მკრუნჩხავი სენი,
ეგებ დაგვცადა საოცარ ფიცით
და ვერ შეაკრთო სიმტკიცე ჩვენი“.

ასე უმღეროდა ჩვენი პოეზია მშვიდობიანი შენებლობისა და სახალხო დღესასწაულის გარემოცვაში დიდი სტალინის ფოლადისებური ხელით ნაშენები ჩვენი ქვეყნის სიმტკიცეს, მის ძალას და გამძლეობას.

ამ საზეიმო სიმღერებში უკვე მკაფიოდ გაისმოდა საბრძოლო აღფრთოვანების, დედასამშობლოსათვის ვაქკაცური თავგანწირულობის მოტივიც. ღრმა სიმართლეს შეიცავს ივაკლი აბაშიძის მიმართვა თავისი თანამოკალმეების, საქართველოს პოეტებისადმი:

„ტკბილმა სამშობლომ ჩვენ შეგვაჩვია
თავისუფლებას და ბალიებას,
მაგრამ მებრძოლი მგონანს გვარშია
მტრისთვის ყუმბარაც და ხმალიც“.

და ამიტომაც, როგორც კი ომოვარდა საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის ქარიშხალი, როგორც კი თავისი უბოროტესი მტრების — გერმანელ-ფაშისტური ურდოების შესამუსრავად აღსდგა დედ გმირი ჩვენი სამშობლო, ჩვენი მწერლობაც ბრძოლის ველზე გამოვიდა, როგორც „რევოლუციის მიერ მობილიზებული და გაწვეული“.

განვლილი წლის 22 ივნისიდან ახალი ხანა იწყება ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ამ დღიდან საბჭოთა მწერალი დიადი სამამულო ომის თავდადებული ჯარისკაცია და იბრძვის. „ვინ კალმით, ვინ ხმლით და ვინ ერთითაც და მეორითაც“, როგორც იტყოდა ენგელსი აღორძინების ეპოქის საუკეთესო ადამიანთა შესახებ.

როგორც თავისი ქვეყნის ერთგული და მოწინავე შვილი, ორა ერთი ქართველი საბჭოთა მწერალი სდგას ეხლა ჩვენი გმირული წითელი არმიის რიგებში და უშუალოდ, ფიზიკურად მონაწილეობს ამ დიადი ისტორიული მისიის განხორციელებაში, რომელიც დაეკისრა ჩვენს ხალხს, ჩვენი ქვეყნის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს მთელი პროგრესიული კაცობრიობის, კულტურული მსოფლიოს აწმყოსა და მომავლის გადასარჩენად ფაშისტური ტირანიისაგან, მიხაილოფერი საშინელებისაგან.

მაგრამ ამით ოდნავადაც არ განისაზღვრება მწერლობის აქტიური როლი ჩვენი ქვეყნის მიერ წარმოებულ ეხლანდელ დიად ბრძოლაში.

მწერლობამ უნდა აწრთოს და ბფოლადოს საბამულო ომის ფრონტისა და ზურგის მორალური განუყოფელობის ის საჭურველი, რომელიც ყველა სხვა იარაღზე უფრო მკვეთრად აკამტვერებს ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტრების მზაკვრულ გეგმებსა და ზრახვებს. ამ ამოცანის სიდიადის შეგნების საფუძველზე საბჭოთა მწერალს შეუძლიან მიმართოს ჩვენი ქვეყნის გმირ დამცველებს ის სიტყვებით, რომელიც ალიო მაშაშვილმა კაპიტან წურწუმიას მიუძღვნა:

„ნუ შეუდრკები დღეებს ნისლიანს,
გადაიარე ზღვები, ველები,
მეც ხელს შეგიწყობ—რაც შემიძლია,
ლექსების ნაღმით მოგეშველები“.

ლექსების ნაღმით, — დიახ, ლექსების, მოთხრობების, პოემების, მხატვრული ნარკვევების, აღმაგზნებელი და მწველი პოეტური სიტყვის ნაღმითა და მახვილით ამოძრავდა საბჭოთა მწერლობა სამამულო ომის პირველსავე მრისხანე დღეებში და ამ დიადი დღეების დაძაბულ მხურვალე გარემოცვაში ახალ საბრძოლო ნათლობას იღებს ჩვენი ლიტერატურა.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი ყოველი ახალი დიდი მოძრაობა ხალხის ცხოვრებაში მოახდენი ღრმა ძვრების, დიდი საზოგადოებრივი მოვლენების ნიადაგზეა წარმოშობილი. რუსი ხალხის პირველმა სამამულო ომმა წარმოშვა მე-19 საუკუნის რუსული მწერლობის მრავალი შედეევრი პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებიდან ლევ ტოლსტოის გენიალურ ეპოპეიამდე „ომი და მშვიდობა“. სამოქალაქო ომის ქარიშხლიანი დღეების თემატიკა დღემდა ასაზღდოებს საბჭოთა ლიტერატურას, დღემდე ინარჩუნებს განუსაზღვრელ შთამგონებელ ძალას საბჭოთა ხალხების მხატვრული მწერლობის საუკეთესო ქმნილებისათვის.

უეჭველია, რომ უფრო მეტ შთაგონებას, უფრო ღრმა და ნაყოფიერ შემოქმედებითს ამბულს მისცემს ჩვენს ლიტერატურას საბჭოთა ხალხის ეხლანდელი დიადი სამამულო ომი. რადგან კაცობრიობას ჯერ არასოდეს არ უწარმოებია ასე გრანდიოზული, ასე გმირული, ასე სამართლიანი და ნამდვილად ხალხური ბრძოლა ხალხთა უმაღლესი და უკეთილშობილესი იდეალებისათვის.

შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ იმ მცირე მოცულობის ლიტერატურულ კრებულებში, რომლებიც ეხლახან გამოიცა, იმ ლექსებსა, მოთხრობებსა და მხატვრულ ნარკვევებში, რომლებიც ეხლა ჩვენი ყოველდღიური პრესის ფურცლებზე ქვეყნდება, იპოვის ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი სათავეს იმ დიდი ახალი შემოქმედებითი მოძრაობისა, რომელიც აუცილებლად მოპყვება ჩვენი სამამულო ომის გრანდიოზულ ეპოპეას.

ამ დიდად საამაყო და საპასუხისმგებლო როლის ღირსად გათვალისწინებით მოქმედებს დღეს ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მწერალი.

ნაღმებისა და ყუმბარების ქუხილში კი არ დამფრთხალა და დადუმებულა საბჭოთა პოეზიის „მუზა“, არამედ, პირიქით, ახალის ძლიერებით, მრისხანებით და დაუცხრომლობით. ამეტყველდა იგი. საბრძოლო ნაღარის ხმად გაისმა ისეთი „ნეიტრალური“ პოეტის ლექსიც კი, როგორადაც დიდხანს გვეგონებოდა იოსებ გრიშაშვილი. ქედუტრელობას, უშიშროებას, მამულისათვის თავგანწირულობას უმღერის ეხლა ქართველი პოეტი ლექსი:

„არ დავთმოთ თავისუფლება,
მარცვალი ჩვენი ყანისა,
დაწრთეთ სულის ფოლადი
ჯიში ხართ ამირანისა“.

(გიორგი ლეონიძე)

მისძახის იგი ბრძოლის ველზე მიმავალ რაინდებს.

ჩვენი ქვეყნის უღრმესი განსაცდელის დღეებში ქართული საბჭოთა პოეზია უყოყმანოდ და შეურყეველად იმეორებდა ჩვენი სამართლიანი საქმის უძლეველობის სიმღერას:

„მიწა დაიწყებს ზანზარს
ულმობელ ცეცხლის ფრქვევით,
მტერი დღეს ნახავს საზარს
ჩვენი მიჯნების ქვეეით,
ჩვენ კი გადავიელით საზღვარს
სტალინის დროშის რხევით“,—

სწერდა ალ. აბაშელი სამამულო ომის უკიდურესად დაძაბულ და მძიმე დღეებში.

ექვსი თვე მეტად მცირე დროა იმისათვის, რომ ეხლა უკვე შესაძლებელი იყოს ლაპარაკი ჩვენი ლიტერატურის მიერ განცდილი ამ ღრმა შემობრუნების რაიმე დიდი შემოქმედებითი შედეგების შესახებ. მაგრამ უცილობელი ფაქტია, რომ ის საბრძოლო ენტუზიაზმი, რომლითაც ეხლა მთელი ჩვენი ქვეყანა ცოცხლობს, შძლავრ ტალღად მოედო ჩვენი მწერლობის ყოველ ფენას. მოწოდებითი ლექსების გვერდით იქმნებიან სამამულო ომის სურათების ამსახველი პოეტური ნაწარმოებნი. იბადება ახალი პოეტური ეპოსი ამ დიდსა და შთამაგონებელ მასალაზე. იქმნება სამამულო ომის სახელოვან გმირთა პოეტური პატრიოტების გალერეა.

მხატვრული პროზის დარგში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლეო ქიაჩელის ნოველა „მამა და შვილი“, რომელიც შესანიშნავად განასახიერებს დიადი სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის განუყოფელი ერთიანობის იდეას. საბჭოთა საბრძოლოსათვის თავდადებულ პატრიოტთა ამაღელვებელი სახეები დახატეს თავიანთ ახალ ნოველებში დემნა შენგელაიამ და სერგო კლდიაშვილმა. სოლომონ თავაძემ დაწერა რომანი „უკანასკნელი და გადამწყვეტი“ — სამამულო ომის მოწინავე ადამიანთა შესახებ. თითქმის ყოველმა თანამედროვე ქართველმა ბელეტრისტმა შეიტანა თავისი შემოქმედებითი წვლილი ჩვენი ხალხის უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანების მხატვრული განსახიერების საქმეში.

ლიტერატურული წლის შედეგებს შეჯამებისას შეუძლებელია გვერდი აუაროთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „დავით აღმაშენებელს“, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ შეეხება ჩვენს ეხლანდელ ბრძოლას, მაგრამ ფართო პლანის მხატვრულ ტილოზე გვიხატავს რა ქართული ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დიდსა და გმირულ ეპოქას, ამით ეჭვეველად ეხმაურება ჩვენი ხალხის ეხლანდელ გრძნობებს და განწყობილებებს.

როგორც ვხედავთ, სამამულო ომის პირველი ექვსი თვის მანძილზე ქართული მწერლობის ყოველ დარგში საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა დაგროვდა. მაგრამ ცხადია, ყოველივე ეს საკმარისი არ არის არც იმ ამოცანების თვალსაზრისით, რომლებიც ეხლა მხატვრული ლიტერატურის წინაშე ისახებიან და არც იმ შემოქმედებითი პოტენციისა და შესაძლებლობის თვალსაზრისით, რომელიც ქართულ საბჭოთა მწერლობას მოეპოება.

კანონიერი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსებს ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულს ის დიდი სამხედრო წარმატება, რომელიც უკანასკნელ დღეებში მოიპოვეს ჩვენმა საბჭოთა ჯარებმა ფაშისტურ ურდოებზე. მაგრამ ეს გამარჯვება ჯერ კიდევ არ მოსწავებს ჰიტლერული გერმანიის ჯოჯოხეთური სამარის ბინაქანის საბოლოო განადგურებას. ჩვენ ხალხს, ჩვენ სამშობლოს ჯერ კიდევ დიდი და თავგანწირული ბრძოლები მოელის კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ჰიტლერული გერმანიის სრულ გაცამტვერებამდე.

ამიტომ ჩვენი მხატვრული მწერლობის წინაშე ახალი წლის მანძილზე არა თუ არ მცირდება, არამედ უფრო იზრდება და ღრმავდება ამოცანა დიადი სამამულო ომის გრანდიოზულ ბრძოლებში მონაწილეობისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მრისხანე და გადამწყვეტ დღეებშიაც ჩვენი ხალხი, საბჭოთა მთავრობა და მშობლიური ბოლშევიკური პარტია შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველ ახალ შემოქმედებითს ნაბიჯს. ამის მაჩვენებელია ის გარემება, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა კანდიდატების შესარჩევად მეცნიერებისა, ლიტერატურისა და